



საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო
TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA

შსს-ს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის,
ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გარანტიები

სისტემის ღიაობა და გამჭვირვალობა

ძირითადი პრობლემები და რეკომენდაციები

ლიკა საჯაია
თბილისი
2015

ძირითადი პრობლემების იდენტიფიცირება

1. პერსონალურ მონაცემთა და პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში
2. ოფიცრები უშიშროების საკითხებში ("ოდეერები") - არსებული მანკიერი პრაქტიკა
3. ინფორმაციის თავისუფლება და ნორმატიული აქტების ხელმისაწვდომობა

პერსონალურ მონაცემთა და პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში

- შსს-ს რჩება სერვერები, ე.წ. შავი ყუთები
- მონაცემთა ბანკების კოპირება სასამართლო ნებართვის გარეშე
- ე.წ. ორი გასაღები -პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი პროცესის მონაწილე
- უკონტროლო ინტერნეტ სივრცე
- შსს პროგრამულად თავად ქმნის და ამონტაჟებს მისი კონტროლის სისტემას

პერსონალურ მონაცემთა დაცვა პოლიციის სექტორში

პერსონალურ მონაცემთა ინსპექტორის მიერ
კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება არ
ვრცელდება არავტომატურად დამუშავებულ
ინფორმაციაზე

- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R (87) 15 პოლიციის სექტორში პერსონალურ მონაცემთა გამოყენების შესახებ
- 2008 წლის 27 ნოემბრის ევროკავშირის საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილება 2008/977/JHA სისხლის სამართლის საკითხებში პოლიციისა და სასამართლოს თანამშრომლობის ფარგლებში დამუშავებული პერსონალური მონაცემების დაცვაზე

ოფიცრები უშიშროების საკითხებში “ოდეერები” საკანონმდებლო მოწესრიგება

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13
დეკემბერის №337 დადგენილება
საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს დებულების დამტკიცების
შესახებ.

(მუხლები: მე-5, მე-10)

ოფიცრები უშიშროების საკითხებში “ოდეერები” – არსებული მანკიერი პრაქტიკა

შინაგან საქმეთა მინისტრი - განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანოებში ნიშნავს უსაფრთხოების საკითხთა ოფიცრებს.

კონტრაზვერვის დეპარტამენტი - ახორციელებს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით და თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უსაფრთხოების საკითხთა ოფიცრების საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტო (დეპარტამენტი)- ახორციელებს საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს, მათ მიერ მოწოდებული ანალიტიკური ინფორმაციის დამუშავებას.

სად გვხვდება „ოდეერები“ 2013-2014 წლებში

- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
- საზოგადოებრივი მაუწყებელი
- ტელეკომპანია „რუსთავი 2“
- თბილისის მერია
- საქართველოს განათლების სამინისტრო (შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, შიდა აუდიტის დეპარტამენტი)

ინფორმაციის თავისუფლება და ნორმატიული აქტების ხელმისაწვდომობა (საკანონმდებლო ცვლილება)

მხოლოდ ის ნორმატიული აქტები შეიძლება მიეკუთვნებოდეს სახელმწიფო საიდუმლოებას, რომელიც აწესრიგებს თავდაცვის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, ფინანსთა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროების, საქართველოს დაზვერვის სამსახურისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ~~შიგა—საქმიანობას~~ თავდაცვის, უსაფრთხოებისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის თვალსაზრისით.

საიდუმლო ნორმატიული აქტები

- გენერალური ინსპექცია
- კრიმინალური პოლიცია
- ~~ანტიკორუფციული სააგენტო~~
- კონტრტერორისტული ცენტრი
- სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტო
- სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრი
- კონტრდაზვერვის დეპარტამენტი

რეკომენდაცია

- გაუქმდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მუდმივი წვდომა კომუნიკაციის შესახებ ინფორმაციაზე და ე.წ. „შავი ყუთები“
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი იყოს არა პროცესის მონაწილე, არამედ მაკონტროლებელი.
- შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმის ფარგლებში (უშიშროებისა და სამართალდამცავი ორგანოების გამიჯვნა) გადაიხედოს ფარული მოსმენების შესახებ კანონმდებლობა ექსპერტთა მაქსიმალური ჩართულობით

რეკომენდაცია

- გაიზარდოს პესონალურ მონაცემთა ინსპექტორის უფლებამოსილება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ინფორმაციის დამუშავების პროცესის კონტროლზე
- განხორციელდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ პესონალურ მონაცემთა დამუშავების ანალიზი, პოლიციის სექტორში ევროპის საბჭოს 87/15 რეკომენდაციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. პროცესში ჩართული იყოს სამოქალაქო საზოგადოება

რეკომენდაცია

- სახელმწიფომ უარი უნდა თქვას “ოდეერების” მანკიერ პრაქტიკაზე.
- საქართველოს პარლამენტმა შესაბამისი დაინტერესებული პირების მონაწილეობით შექმნას სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლის, თუ რამდენად ლეგიტიმურია უშიშროების საკითხებში ოფიცრების ინსტიტუტის მუშაობა და შესაბამისად რამდენად კანონიერად ერევიან შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები სხვა ინსტიტუტების კომპეტენციებში და რამდენად მიზანშეწონილია თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში ასეთი ინსტიტუტის შენარჩუნება.

რეკომენდაცია

- კანონით მკაცრად შეიზღუდოს ნორმატიული აქტების წრე, რომელიც შეიძლება მიეკუთვნებოდეს სახელმწიფო საიდუმლოებას.
- ყველა ნორმატიული აქტის სათაური იყოს საჯარო.
- ნორმატიულ აქტების გასაიდუმლოებასთან მიმართებით ეფექტურად ამოქმედდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმა, რომელიც ითვალისწინებს ინფორმაციით ნაწილობრივ გასაიდუმლოებას.
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაასაჯაროვოს დებულებები. თუკი ცალკეული დებულებები შეიცავს ინფორმაციას რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებად ცნობა აუცილებელია, მოხდეს დებულებების ნაწილობრივი გასაიდუმლოება.